

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნჩხის საჯარო სკოლის მიერ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: ნათელა ბასილია
ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

წევრი: მარიკა კირვალიძე
ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	**სსიპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნჩხის საჯარო სკოლა**
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	**საჯარო სამართლის იურიდიული პირი**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**223364357**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	**ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩუნჩხა**
ფაქტობრივი მისამართი	**ახალქალაქის მუნიციპალიტეტი, სოფელი ჩუნჩხა**
საფოსტო ინდექსი	**0710**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	**https://bit.ly/3Xu7T3Y**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	**chunchxaskola@mes.gov.ge**
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის ბრძანება №1525326 04/11/2025 წელი
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	25, 26 ნოემბერი, 2025 წელი.

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

2023 წლის 17 ნოემბერს გამართულ ზოგადსაგანმანათლებლო ავტორიზაციის საბჭოს სხდომაზე განხილული იქნა სსიპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნჩხის საჯარო სკოლისთვის ავტორიზაციის მინიჭების საკითხი. აღნიშნულ სხდომაზე სკოლას მიენიჭა ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსი (გადაწყვეტილება N9 23 000156749). საბჭომ შუამდგომლობით მიმართა განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს სკოლაში მონიტორინგის განხორციელების თაობაზე. მონიტორინგის დაწყების პერიოდი განისაზღვრა 2025 წლის ნოემბრიდან, ხოლო მონიტორინგის განხორციელების ფორმად დადგინდა ექსპერტთა ჯგუფის ადგილზე ვიზიტი.

გეგმიური მონიტორინგის ვიზიტის ფარგლებში, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის ბრძანების შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მიერ განხორციელდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის N99/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრული „ა)“, „გ)“ და „დ)“ სტანდარტების შესაბამისობის შეფასება. ექსპერტთა ვიზიტი წარიმართა დღის წესრიგის შესაბამისად. ჩატარდა ინტერვიუირება სკოლის ადმინისტრაციასთან, პედაგოგებთან საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებთან და სამივე საფეხურის მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან. ინტერვიუირებამ საშუალება მოგვცა მოგვეპოვებინა საჭირო ინფორმაცია ავტორიზაციის პირობების შესრულებასთან დაკავშირებით. ვიზიტის ორივე დღემ ჩაიარა მშვიდ, საქმიან და კეთილგანწყობილ გარემოში. ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტების ფარგლებში სკოლის მიერ წარმოდგენილ მტკიცებულებებს, დაათვალიერა ინფრასტრუქტურა, შეაფასა წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი. დასასრულს ექსპერტებმა სკოლის წარმომადგენლებს გაუზიარეს ის მიგნებები, რომლებიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა.

VII. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიური სტატუსის მქონე მოსწავლეთა რაოდენობა
45	30

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

2025 წლის 18 დეკემბრის N0001803304 კორესპონდენციით დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა. აღნიშნულ კორესპოდენციაში არ იყო დაფიქსირებული დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია, დასკვნის პროექტში აღწერილი ხარვეზების გაზიარება/არ გაზიარების თაობაზე. თემცა, ვინაიდან, დაწესებულების მიერ წარმოდგენილ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში ასახული იყო დასკვნის პროექტში მოცემული ხარვეზი ყველა შეუსაბამოდ შეფასებულ ინდიკატორთან მიმართებით, ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების პოზიცია მიიჩნია, როგორც „გაზიარებული“.

ექსპერტთა ჯგუფმა, დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის გათვალისწინებით, ცალკეული ინდიკატორები შეუსაბამოდან გადაიტანა მეტწილ შესაბამისობაში, ხოლო ინდიკატორები 3.2.1.2. და 3.6.2.1. არასათანადო შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობის და/ან მითითებული არარელევანტური ვადის გამო, დარჩა „შეუსაბამო“.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. **ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი**

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	**☐ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☒ არ შეესაბამება**
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☐ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☒ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*ხარვეზი*
ინდიკატორი N.3.2.1.2.	პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად	სკოლა არ ავლენს პერსონალის პროფესიულ საჭიროებებს, არ შეიმუშავებს გეგმას პროფესიული საჭიროებების საპასუხოდ და შესაბამისად, არ ხდება გეგმის შესაბამისად პროფესიული განვითარება.
ინდიკატორი N.3.6.2.1.	სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი	სკოლის საქმისწარმოების წესი არ არის სკოლის არსებული რეალური ქმედების შესაბამისი. (იხ. ინდიკატორის აღწერა)

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი 1.1.1.3.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (25.01.2026) უზრუნველყოს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების რეალური და დოკუმენტურად დადასტურებული ჩართულობა.*
ინდიკატორი 1.1.1.4.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (30.01.2026) სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ.*
ინდიკატორი 1.2.2.2.	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (15.02.2026) მეთოდოლოგიის შესაბამისად, განახორციელოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.*
ინდიკატორი 1.2.2.3.	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (30.06.2026) საჯარო გახადოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები.*
ინდიკატორი 1.2.2.4.	სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (15.07.2026) სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენოს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N.3.1.2.1.	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (20.01.2026) მასწავლებლებთან გაფორმდეს მათი სტატუსის შესაბამისი შრომითი ხელშეკრულება.*

ინდიკატორი N.3.1.2.4.	პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (15/01/2026) კვალიფიციური კადრების მეშვეობით უზრუნველყოს საგნების: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მე და საზოგადოება და პროექტი სამოქალაქო განათლებაში სწავლება.* *შესაბამისობის გეგმაში მითითებული შემჭიდროვებული ვადების გათვალისწინებით, სკოლამ დაუყოვნებლივ გამოაცხადოს შიდა ვაკანსია ან ღია კონკურსი შესაბამის პორტალზე (teachers.job.ge).*
ინდიკატორი N.3.2.1.1.	სკოლა აქვს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (20.01.2026) შეიმუშაოს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.*
ინდიკატორი N.3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში, სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით უზრუნველყოს* • *შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება (15/09/2026)* • *ვიდეო სამეთვალყურეო კამერების გამართული მუშაობა (25/01/2026).*
ინდიკატორი N.3.4.1.2.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (25/01/2026) სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით, უზრუნველყოს სკოლის ექიმის ან/და სერვისების მიღების ალტერნატიული გზების შერჩევა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01- 23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში*

		სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის" შესაბამისად.
ინდიკატორი N.3.4.1.3.	სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (28/06/2026) უზრუნველყოს მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანების შესაბამისად და მისი მუშაობის დოკუმენტირება.*
ინდიკატორი N.3.6.3.5. .	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებებ ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (28/06/2026) უზრუნველყოს სკოლის 2024-2025 და 2025-2026 სასწავლო წლების სამოქმედო გეგმების ანგარიშების მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისებისა და გასაჩივრების მექანიზმების ატვირთვა, პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურების და მისანიჭებელი კვალიფიკაციის -განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების მითითება სკოლის ვებ გვერდზე.*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	***სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია***
ინდიკატორი N.4.1.2.1.	სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (30.06.2026) განსაზღვროს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები.*
ინდიკატორი N.4.1.2.3.	სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (30.03.2026) საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადოს სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების,*

	დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი	*პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია.*
ინდიკატორი N.4.2.2.1.	კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მიწოდება მოსწავლეთათვის არაუგვიანეს, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში, 2026 წლის 30 ივნისამდე.*
ინდიკატორი N.4.2.2.2.	სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ დ სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით	*სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (20.04.2026) მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს მიაწოდოს განახლებული და სანდო ინფორმაცია ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.*
ინდიკატორი N.4.2.2.3.	სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.	*სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადაში (15.06.2026), მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლების უკუკავშირის და გაწეული გაწეული მომსახურების შეფასების შედეგები, რათა უზრუნველყოს კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებული ინფორმაციის განახლება და სანდოობა.*

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი N.1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	სასურველია, სამოქმედო გეგმაში მოცემულ გრაფაში "რესურსები", სკოლამ დააკონკრეტოს რა ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსია საჭირო კონკრეტული აქტივობის განხორციელებისთვის.
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N.3.1.1.1.	სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული	სასურველია, წარმოდგენილ დოკუმენტში "პერსონალის მართვის წესი" გაიწეროს დარაჯის ფუნქციები მოქმედი ხელშეკრულების შესაბამისად, ხოლო ექიმის ფუნქციები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. (იხ. ინდიკატორის აღწერა)
ინდიკატორი N.3.2.1.3.	სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას	სასურველია, სკოლამ გააძლიეროს კარიერული განვითარების მხარდამჭერი პროცესები და ჩამოაყალიბოს უფრო სტრუქტურირებული, სკოლაში დადგენილი მექანიზმები (მაგ., მხარდაჭერის გეგმა, რეგულარული პროფესიული კონსულტაციები, ინდივიდუალური განვითარების გეგმები, ტრენინგების სისტემური შეთავაზება). აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს თანამშრომლების კარიერული ზრდის მდგრად და თანმიმდევრულ უზრუნველყოფას.
ინდიკატორი N.3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლას მიეცა რჩევა, უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანა.
ინდიკატორი N.3.4.1.8.	სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების	სასურველია, ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების პერიოდული შეფასების შედეგების დოკუმენტირება,

	მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის	რათა შესაძლებელი გახდეს უსაფრთხოების პრობლემების იდენტიფიცირება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა და რეკომენდაციების შემუშავება, მათზე მყისიერი რეაგირების მიზნით.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N.4.2.1.6.	მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას	სასურველია, სკოლამ სტრუქტურირებული ფორმით, იქნება ეს კითხვარი, ინტერვიუ/ფოკუსჯგუფი თუ სხვა მსგავსი მეთოდი, მიიღოს მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირი.

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი

სტანდარტი N	**სკოლის ფილოსოფია**	**რეკომენდაცია**	**შესრულების სტატუსი**
ინდიკატორი 1.1.1.3.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	სკოლამ უზრუნველყოს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	არ არის შესრულებული
ინდიკატორი 1.1.1.4.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ	სკოლამ უზრუნველყოს სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარება სასკოლო საზოგადოებისთვის	არ არის შესრულებული
ინდიკატორი 1.1.1.5.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი	სკოლამ უზრუნველყოს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების საჯაროდ ხელმისაწვდომობა	შესრულებულია
ინდიკატორი 1.2.1.1.	სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს	სკოლამ უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მეთოდოლოგიის შემუშავება	შესრულებულია
ინდიკატორი 1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;	სკოლამ უზრუნველყოს შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის შემუშავება	შესრულებულია

ინდიკატორი 1.2.1.3.	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	სკოლამ უზრუნველყოს, სტრატეგიულ გეგმასთან თავსებადი, ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავება	შესრულებულია
ინდიკატორი 1.2.1.4.	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.	სკოლამ უზრუნველყოს, რომ სამოქმედო გეგმაში რეალისტურად განსაზღვროს სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები / სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები	შესრულებულია
სტანდარტი N	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	**რეკომენდაცია**	**შესრულების სტატუსი**
ინდიკატორი 3.3.2.1.	სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები	სკოლამ უზრუნველყოს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმების შემუშავება	შესრულებულია
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას	სკოლამ წარმოადგინოს ა. შესაბამის ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;	შესრულებულია
		ბ. საგანგებო რეაგირების შტაბის შექმნის შესახებ დირექტორის ბრძანება;	შესრულებულია
		გ. დაკვნა შენობის მდგრადობის შესახებ;	შესრულებულია
		დ. დასკვნა სახანძრო უსაფრთხოების შესახებ;	არ არის შესრულებული
		ე.კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ექიმის კონკურსით წესით დასაქმება.	არ არის შესრულებული
ინდიკატორი 3.4.1.5.	სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას	სკოლამ უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების დაცვის წესის შემუშავება	შესრულებულია
ინდიკატორი 3.6.1.2.	ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია	სკოლამ უზრუნველყოს სკოლის ციფრული განვითარების გეგმის შემუშავება	შესრულებულია

	მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად		
ინდიკატორი 3.6.3.1.	სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით	სკოლამ უზრუნველყოს საზოგადოების ინფორმირება ოფიციალური ვებ გვერდის საშუალებით	შესრულებულია
ინდიკატორი 3.6.3.4.	სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას	სკოლამ უზრუნველყოს მოქმედი ვებ გვერდის შექმნა	შესრულებულია
ინდიკატორი 3.6.3.5.	ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია	სკოლამ უზრუნველყოს მოქმედ ვებ გვერდზე მისიის, ხედვის, ღირებულებების, სკოლის სტრუქტურის, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისების , გასაჩივრების მექანიზმების , ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიშის , სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების და საკონტაქტო ინფორმაციის ასახვა	არ არის შესრულებული
სტანდარტი N 4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	**რეკომენდაცია**	**შესრულების სტატუსი**
ინდიკატორი 4.1.1.3.	მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია	სკოლამ უზრუნველყოს მოსწავლესთან/მის	შესრულებულია

	კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება	კანონიერ წარმომადგენელთან კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულების გაფორმება	
ინდიკატორი 4.2.1.1.	სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი	სკოლამ უზრუნველყოს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმის შემუშავება	შესრულებულია
ინდიკატორი 4.2.2.1.	კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის	სკოლამ შეიმუშავოს მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მექანიზმი	არ არის შესრულებული
ინდიკატორი 4.2.2.2.	სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით	სკოლამ უზრუნველყოს ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით მოსწავლეების /მათ კანონიერი წარმომადგენლებისთვის განახლებული და სანდო ინფორმაციის მიწოდება	არ არის შესრულებული

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სკოლის მისიაში გამოკვეთილია სკოლის სწრაფვა, აღზარდონ ტოლერანტი, სამოქალაქო ცნობიერების მქონე მოქალაქეები - „აღზარდოს ინტელექტუალური, მაღალი ზნეობის, გამოკვეთილი მოქალაქეობრივი პოზიციის მქონე სრულყოფილი პიროვნება“. აღნიშნული კი შეესაბამება ზოგადი განათლების მესამე მიზანს. მისიაში ასევე ხაზგასმულია სკოლის პოზიცია, მოსწავლეებში საკომუნიკაციო და ტრანსფერული უნარების განვითარებასთან დაკავშირებით. დაფიქსირებულია სკოლის მზაობა, ხელი შეუწყოს მოსწავლეს, გახდეს დამოუკიდებელი - „შეიძინოს კომუნიკაციის ახალი ინფორმაციებისა და თანამედროვე ტექნოლოგიების, ეფექტურად ათვისების, მთელი ცხოვრების მანძილზე ახალი ცოდნისა და საჭირო ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი“. აღნიშნული შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. სკოლის ხედვა, ხელი შეუწყოს მოსწავლის აღჭურვას საზოგადოებრივი ცხოვრებისთვის საჭირო უნარ-ჩვევებითა და სოციალურად სწორი ორიენტაციით ეხმიანება ზოგადი განათლების ერთ-ერთ მიზანს „ეკოლოგიური ცნობიერების მქონე, გარემოზე მზრუნველი მოქალაქის აღზრდა“. აქედან გამომდინარე, სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს.

ინდიკატორი 1.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტში ხაზგასმულია, რომ სკოლის მისიაა, აღზარდოს ინტელექტუალური, მაღალი ზნეობის, გამოკვეთილი მოქალაქეობრივი პოზიციის მქონე სრულყოფილი პიროვნება. მისიაში ასევე ვკითხულობთ, რომ სკოლა ზრუნავს მოსწავლეთათვის შექმნას თავისუფალი, შემოქმედებითი გარემო. მისიის მიხედვით, სკოლის პრიორიტეტია, მოსწავლეს განუვითაროს მთელი ცხოვრების მანძილზე ახალი ცოდნისა და საჭირო ჩვევების დამოუკიდებლად შეძენის უნარი. აქედან გამომდინარე, სკოლა განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს.

ინდიკატორი 1.1.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლაში დირექტორის ბრძანებით შექმნილია სამუშაო ჯგუფი სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავებისთვის. მიუხედავად ამისა, წარმოდგენილი დოკუმენტაცია და ჯგუფის წევრებთან ჩატარებული ზეპირი ინტერვიუები ვერ ადასტურებს სასკოლო

საზოგადოების რეალურ და არსებით ჩართულობას სკოლის ფილოსოფიის ჩამოყალიბების პროცესში. არსებული მდგომარეობა მიანიშნებს, რომ წარმოდგენილი სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტი, არ არის შემუშავებული სასკოლო საზოგადოების ჩართულობით.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას 2026 წლის 25 იანვრამდე.

*ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქტივობა და შესაბამისი ვადა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა **<u>მეტწილ შესაბამისობაში.</u>***

სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრულ ვადაში (25.01.2026) უზრუნველყოს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების პროცესში სასკოლო საზოგადოების რეალური და დოკუმენტურად დადასტურებული ჩართულობა.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის ფილოსოფიის ორი ერთმანეთისგან განსხვავებული ვერსია. სკოლის ვებ-გვერდზე ატვირთული დოკუმენტით დასტურდება, რომ დოკუმენტაციაში წარმოდგენილი ფილოსოფიის ერთ-ერთი ვერსია არის ოფიციალურად დამტკიცებული და მოქმედი. იგივე ვერსიაა წარმოდგენილი სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმაშიც. დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებების გაზიარების დამადასტურებელი მტკიცებულება. ასევე, სკოლაში ჩატარებული ინტერვიუები მიუთითებს, რომ ოფიციალურად დამტკიცებული ფილოსოფია სასკოლო საზოგადოების მიერ არ არის გათავისებული და გაზიარებული.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, სკოლის ფილოსოფია სასკოლო საზოგადოების მიერ იქნება გაზიარებული 2026 წლის 30 იანვრამდე.

*ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქტივობა და შესაბამისი ვადა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა **<u>მეტწილ შესაბამისობაში.</u>***

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (30.01.2026) სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებული იყოს სასკოლო საზოგადოების მიერ.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია განთავსებულია სკოლის ფოიეში, პირველ სართულზე. ასევე თვალსაჩინო ადგილას, განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე.

ინდიკატორი 1.1.1.5. დაკმაყოფილებულია

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მიერ გამოცემული ბრძანებით (საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება N448, 2005 წლის 13 სექტემბერი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №194, 2007 წლის

16 მარტი „საჯარო სკოლისათვის სახელის მინიჭების წესის დამტკიცების შესახებ“) განსაზღვრულია წარმოდგენილი სკოლის ტიპი და სახელი - სსიპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნჩხის საჯარო სკოლა. შესაბამისად, სკოლის სახელი სრულად შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს, რაც ასევე დასტურდება საჯარო რეესტრის ამონაწერით.
ინდიკატორი 1.1.1.6. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი სამოქმედო გეგმა;*
- *სკოლის დირექტორის გრძანება მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების მიზნით სკოლის ჯგუფის შექმნის შესახებ;*
- *სკოლის ვებ გვერდი* https://bit.ly/3XNWMTP

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სკოლას აქვს დოკუმენტი სახელმწოდებით „სსიპ სოფელ ჩუნჩხის საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღრებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“. დოკუმენტში მოცემულია სტრატეგიული დაგეგმვის ციკლური ეტაპები,

მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების ეტაპები, აღწერილია სკოლის ფილოსოფიისა და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების ურთიერთმიმართება; იდენტიფიცირებულია პროცესში ჩართული მხარეები, აღწერილია სამუშაო ჯგუფის ფორმირებისა და მუშაობის წესი; ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის ფორმები და სიხშირე და სხვ. შესაბამისად, დოკუმენტით სკოლა განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს, მაგალითად, მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების ეტაპებში აღწერილია, რომ მოხდება სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა და კვლევის შედეგების გათვალისწინებით, შემუშავდება სკოლის ფილოსოფიის პროექტი. ინფორმაციის ანალიზისთვის შესაძლო გამოყენებული იყოს SWOT ანალიზი. დოკუმენტში მითითებულია, რომ სკოლა სტრატეგიული დაგეგმვისას იცავს შემდეგ პრინციპებს: თანამონაწილეობა, სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინება, გამჭირვალეობა, ანგარიშვალდებულება.

ინდიკატორი 1.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს. კერძოდ, სტრატეგიული გეგმის მიხედვით, სტრატეგიული მიმართულებებია: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, ადამიანური რესურსების განვითარება, მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება, უსაფრთხო, ორგანიზებული და დისციპლინირებული გარემოს უზრუნველყოფა, სასკოლო საზოგოადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება, ორგანიზაციული განვითარება. აღნიშნული მიზნები შეესაბამება სკოლის მისიას, მაგალითად, სკოლას ერთ-ერთ ღირებულებას გამოტანილი აქვს განვითარება და ინოვაციურობა და ერთ-ერთი მიზანი არის ორგანიზაციული განვითარება; სკოლის მისიაში დეკლარირებული ერთ-ერთ პრიორიტეტია შექმნას გარემო, სწავლა-სწავლების სიღრმისეული შემეცნებისა და ცოდნის ტრანსფერისთვის, ხოლო სტრატეგიულ გეგმაში ერთ-ერთი სტრატეგიული მიმართულებაა სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება. ერთ-ერთ სტრატეგიულ მიზანს, სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, შეესაბამება ამოცანა სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შედეგების გათვალისწინებით შესაბამისი აქტივობების დაგეგმვა/განხორციელება, ახალი პროგრამების შემუშავება/დანერგვა. ერთ-ერთი მიზანია ადამიანური რესურსის განვითარება, შესაბამისი ამოცანა კი - პერსონალის მართვის პოლიტიკის და პრაქტიკის გაუმჯობესება. ერთ-ერთი მიზანია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, შესაბამისი ამოცანა კი -მოსწავლეთა თვითმმართველობის აქტივობების გაზრდა. სკოლის სტრატეგიულ გეგმაში ჩამოყალიბებულ ზოგიერთი ამოცანა იმეორებს მიზანს, მაგ. მიზანია სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, და ამოცანა - სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდა.

სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია, ყველა ამოცანა გაიწეროს იმგვარად, რომ იყოს მიზნის შესაბამისი, მაგრამ არ იმეორებდეს მას.

ინდიკატორი 1.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი და გეგმით განსაზღვრული აქტივობები წარმოდგენილია 2025-2026 სასწავლო წლისთვის. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას. სკოლის წარმომადგენლებთან გასაუბრებით დადასტურდა, რომ სკოლა პერიოდულად აკეთებს თვითშეფასებას, რომლის შედეგებსაც ასევე ითვალისწინებს სკოლის სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავებისას.
ინდიკატორი 1.2.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები. სკოლას თითოეული აქტივობის შესასრულებლად სამოქმედო გეგმაში რესურსი მითითებული აქვს შემდეგი ფორმულირებით - „არსებული რესურსი“. შესაბამისად, სკოლას მიეცა **რჩევა:** სასურველია, სამოქმედო გეგმაში არსებულ გრაფაში “რესურსები”, სკოლამ დააკონკრეტოს რა ადამიანური, მატერიალური და ფინანსური რესურსია საჭირო კონკრეტული აქტივობის განსახორციელებლად
ინდიკატორი 1.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია;*
- *სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;*
- *სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა.*

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სკოლას აქვს დოკუმენტი სახელმწოდებით „სსიპ სოფელ ჩუნჩხის საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღრებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“. დოკუმენტში მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავების ეტაპებში აღწერილია, რომ მოხდება სასკოლო საზოგადოების გამოკითხვა და კვლევის შედეგების გათვალისწინებით, შემუშავდება სკოლის ფილოსოფიის პროექტი. ინფორმაციის ანალიზისთვის შესაძლო გამოყენებული იყოს SWOT ანალიზი. მეთოდოლოგიის დოკუმენტში მითითებულია, რომ სტრატეგიის შესრულების მონიტორინგი ხორციელდება დაკვირვებით, ფასდება მიზნების მიღწევის დონე და მიზნის

მისაღწევად წინასწარ შემუშავებული გზების ეფექტიანობა. მონიტორინგის ერთ-ერთ მექანიზმად გამოყენებულია ანგარიში-სტრატეგიული განვითარების გეგმის შესრულების ანგარიშის შემუშავება ხდება ყოველ სამ წელიწადში ერთხელ, ხოლო შვიდი წლის შემდეგ კეთდება შემაჯამებელი ანგარიში. ხოლო ყოველი სასწავლო წლის ბოლოს სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ სამოქმედო გეგმის შესრულების შესახებ წერილობით ანგარიშს. ანგარიშზე დაყრდნობით ივსება ცხრილი შემდეგი კომპონენტებით: სტრატეგიული მიმართულება, ამოცანები, აქტივობები, მონიტორინგის შედეგები - შესრულდა, ნაწილობრივ შესრულდა, არ შესრულდა, შენიშვნა.

ინდიკატორი 1.2.2.1. დაკმაყოფილებულია

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლამ ვერ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ სკოლა ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით. ადგილზე ვიზიტის პერიოდში შესაბამის პირებთან ზეპირი ინტერვიუს მიმდინარეობისასაც ვერ დადასტურდა აღნიშნული. აქედან გამომდინარე, სკოლა არ ახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, სკოლა განახორციელებს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას 2026 წლის 15 თებერვლამდე.

ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქტივობა და შესაბამისი ვადა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა <u>მეტწილ შესაბამისობაში.</u>

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (15.02.2026) მეთოდოლოგიის შესაბამისად, განახორციელოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგი და შეფასება, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები არ არის საჯარო. მაგალითად, არ არის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებული, სკოლას არ აქვს გამოყენებული საჯაროობის არც ერთი სხვა ფორმაც.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, სკოლა სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობას უზრუნველყოფს 2026 წლის 30 ივნისამდე.

შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის აღნიშნული ინდიკატორის აქტივობის აღწერაში გვხვდება ჩანაწერი „სკოლას ექნება გამოყენებული საჯაროობის უზრუნველყოფის არც ერთი სხვა ფორმაც“, რომელიც სავარაუდოდ ტექნიკურ ხარვეზს უნდა მივაწეროთ.

*ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქტივობა და შესაბამისი ვადა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა **მეტწილ შესაბამისობაში.***
სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (30.06.2026) უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების საჯაროობა.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**.

ვიზიტის პერიოდში ზეპირი გასაუბრებისას სკოლის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ ისინი აკვირდებიან განხორციელებულ პროცესებს და შედეგებს იყენებენ შემდგომი საქმიანობის დაგეგმვისას. თუმცა, ვერ დასახელდა კონკრეტული მაგალითები, რომლებიც აჩვენებდა, თუ როგორ ხდება სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების რეალური გამოყენება სკოლის შემდგომი განვითარების პროცესში. გარდა ამისა, სკოლამ ვერ წარმოადგინა შესაბამისი დოკუმენტაცია, რომელიც დაადასტურებდა შედეგების ანალიზის, შეჯამების ან მიღებული დასკვნების შესაბამისად ქმედებას სკოლის შემდგომი განვითარებისთვის. აქედან გამომდინარე, სკოლა არ ახდენს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შედეგებს არ იყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.
დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, სკოლა მოახდენს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგს და შედეგებს გამოიყენებს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის 2026 წლის 15 ივლისამდე.
*ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქტივობა და შესაბამისი ვადა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა **მეტწილ შესაბამისობაში.***
სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (15.07.2026) სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენოს სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია;*
- *სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა;*
- *სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;*
- *სკოლის ვებ გვერდი* https://bit.ly/3XNWMTP

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

დაწესებულებამ წარმოადგინა და სკოლის ვებ გვერდზე ატვირთულია სკოლის სტრუქტურული ერთეულების აღმწერი გრაფიკული სტრუქტურა. რომლის თანახმად სკოლაში ფუნქციონირებს სამეურვეო საბჭო, დისციპლინური კომიტეტი, პედაგოგიური საბჭო და მოსწავლეთა თვითმმართველობა და საგნობრივი კათედრები. სკოლის პერსონალთან გასაუბრებით დადგინდა, რომ აღნიშნული სტრუქტურული ერთეულების საქმიანობა რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების N448 ბრძანების შესაბამისად. დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „პერსონალის მართვის წესი“, აღწერილია სკოლის დირექტორის, დირექტორის მოადგილის, საქმისმწარმოებლის, ბუღალტერის, ბიბლიოთეკარის, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის და დამლაგებლის ფუნქცია-მოვალეობები. არ არის მოცემული საშტატო განრიგით განსაზღვრული სკოლის დარაჯისა და ექიმის ფუნქციები. დარაჯის ფუნქციები გაწერილია შრომით ხელშეკრულებაში, ხოლო ექიმის ვაკანსიის გამოცხადებისას სკოლა ხელმძღვანელობს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის No41/ნ/01- 23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესით”. სკოლას მიეცა **რჩევა**: სასურველია, წარმოდგენილ დოკუმენტში “პერსონალის მართვის წესი” გაიწეროს დარაჯის ფუნქციები მოქმედი ხელშეკრულების შესაბამისად, ხოლო ექიმის ფუნქციები მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

ინდიკატორი 3.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლაში არსებული თანამდებობრივი პოზიციები განსაზღვრულია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან შეთანხმებული და დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული საშტატო განრიგის შესაბამისად. სტრუქტურული ერთეულების ოქმებისა და სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრების საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის სტრუქტურულ ერთეულებსა და პასუხისმგებელ პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება შეესაბამება სკოლის არსებულ საჭიროებას და ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორი 3.1.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *პერსონალის მართვის წესი;*
- *საშტატო განრიგი.*

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტში „პერსონალის მართვის წესი“ არეგულირებს სამართლებრივ ურთიერთობებს დამსაქმებელსა და დასაქმებულს შორის. იგი ასევე არეგულირებს პერსონალის მოზიდვისა და შერჩევის პროცედურებს. მასწავლებელთან დაკავშირებით მიმდინარე პროცესები რეგულირდება საქართველოს შრომის კოდექსითა და „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესით”. სკოლის მიერ ჩატარებული კონკურსების შესახებ ინფორმაციის გამოთხოვის შედეგად დადგინდა, რომ ახალი მასწავლებლების მიღება ხორციელდება ღია კონკურსის გზით, რომელიც ქვეყნდება teacherjobs.ge პლატფორმაზე. ვინაიდან უახლოესი წლების მანძილზე დაწესებულებას არ მიუღია ახალი მასწავლებელი, ექსპერტები გაეცნენ ბრძანებებს საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ და კონკურსის ჩაშლის ოქმებს. პერსონალის მართვის მექანიზმები, აგრეთვე, ასახულია სკოლის შინაგანაწესსა და სკოლასა და დასაქმებულს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში. შრომითი ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილს წარმოადგენს სკოლის შინაგანაწესი, რომლის გაცნობას დასაქმებული ადასტურებს ხელმოწერით.

სკოლასა და მასწავლებელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებებში, ნაცვლად "უფროსი მასწავლებლისა", მათი დასაქმების პოზიციად ფიქსირდება "შრომითი ურთიერთობის შეჩერების საფუძვლით სამუშაოზე დროებით არმყოფი დასაქმებულის ჩანაცვლების მიზნით". აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მასწავლებელსა და სკოლას შორის გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში მითითებული სტატუსი არ შეესაბამება მასწავლებელთა მიერ რეალურად დაკავებულ პოზიციას.

დაწესებულებამ, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, სკოლის მასწავლებლებსა და სკოლას შორის გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებში მითითებული სტატუსის, მათ მიერ რეალურად დაკავებულ პოზიციასთან შესაბამისობაში მოყვანას უზრუნველყოფს 2026 წლის 20 იანვრამდე.

ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა <u>მეტწილ შესაბამისობაში.</u>

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (20/01/2026) უზრუნველყოს სკოლაში დასაქმებულ მასწავლებლებთან, მათი სტატუსის შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პერსონალის მართვის წესის შესაბამისად დგინდება სკოლის პრევენციული მართვის პოლიტიკა. კერძოდ, დირექტორის არყოფნის შემთხვევაში მის მოვალეობას ასრულებს დირექტორის მოადგილე, იგი ასევე ასრულებს საქმისმწარმოებლის მოვალეობას მისი არ ყოფნის შემთხვევაში. თავად დირექტორი ასრულებს მოადგილის ზოგიერთ ფუნქციას მისი არ ყოფნის შემთხვევაში. ბიბლიოთეკარის არყოფნის შემთხვევაში, მის მოვალეობას ასრულებს საქმისმწარმოებელი და სხვა. ამავე დოკუმენტის თანახმად, საქმისმწარმოებელი ვალდებულია დასაქმებულს გააცნოს საშტატო ერთეულის სამუშაო აღწერილობა და სკოლის შინაგანაწესი. მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში პასუხისმგებელ პირებთან გასაუბრებით და დოკუმენტაციის შესწავლით დადგინდა, რომ მასწავლებლის არ/ვერ გამოცხადების შემთხვევაში საათები გადანაწილდება საგნობრივ ჯგუფში შემავალ სხვა მასწავლებლებზე. წარმოდგენილი დოკუმენტაცია და არსებული მექანიზმი ადასტურებს, რომ სკოლას გააჩნია პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკა, რაც უზრუნველყოფს პროცესის უწყვეტობას.

ინდიკატორი 3.1.2.2. დაკმაყოფილებულია

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი პერსონალის მართვის წესის მეოთხე მუხლი ითვალისწინებს პერსონალის მოზიდვისა და შერჩევის პროცედურებს. მასწავლებლის საკვალიფიკაციო მოთხოვნების განსაზღვრისას სკოლა ხელმძღვანელობს ზოგადი განათლების შესახებ საქართველოს კანონისა და საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,მასწავლებლის საქმინობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის'' მოთხოვნათა შესაბამისად. სკოლის საკონკურსო დოკუმენტაციის გაცნობით დადგინდა, რომ მასწავლებლის ვაკანტურ საათების შესავსებად გამოცხადებული კონკურსი ტარდება გამჭვირვალობის პრინციპის დაცვით. კერძოდ, ვაკანსიის შესახებ ინფორმაცია ქვეყნდება საჯაროდ, teacherjobs.ge-ზე. დირექტორის

ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობაც განსაზღვრულია კანონმდებლობით. რაც შეეხება სკოლის სხვა პერსონალს, მათი შერჩევა შესაძლებელია როგორც კონკურსის წესით, ასევე დირექტორის მიერ კანდიდატთან გასაუბრების გზით. თანამშრომელთა პირადი საქმეების გადამოწმების შედეგად დადგინდა, რომ ყველა პერსონალს წარმოდგენილი აქვს კანონმდებლობის შესაბამისად განსაზღვრული დოკუმენტაცია. სკოლას 2020 წლის შემდეგ არ ჰყავს აყვანილი ახალი კადრი/მასწავლებელი, შესაბამისად, არსებულ მასწავლებლებს არ აქვთ სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობისა და აგრეთვე უფლებების ჩამორთმევის შესახებ ცნობების წარმოდგენის ვალდებულება.

ინდიკატორი 3.1.2.3. დაკმაყოფილებულია

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

სკოლაში სულ დასაქმებულია 22 პირი, მათგან 17 მასწავლებლის სტატუსის მქონე. ვიზიტის პერიოდში, სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (Eschool) შესწავლილი იქნა პერსონალის მონაცემები, გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები. დასტურდება, რომ თანამშრომელთა კვალიფიკაცია, ძირითად შემთხვევაში შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მხოლოდ, სკოლაში დასაქმებულ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელს არ უდასტურდება კვალიფიკაცია. ასევე, სკოლის დაწყებითი საფეხურის მასწავლებლის კვალიფიკაციის მქონე პირი ასწავლის საგანს "მე და საზოგადოება", ხოლო ქართულ ენასა და ლიტერატურაში კვალიფიცირებული პირი ასწავლის საგანს "პროექტი სამოქალაქო განათლებაში".

დაწესებულებამ, წარმოადგინა "სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებლის" ვაკანსიის გამოცხადების დამადასტურებელი დოკუმენტი და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, სკოლაში დასაქმებულ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელს დადასტურებული ექნება კვალიფიკაცია 2026 წლის 15 იანვრამდე ასევე, კვალიფიცირებულები იქნებიან საგნების „მე და საზოგადოება" და „პროექტი სამოქალაქო განათლებაში" მასწავლებლები.

ექსპერტთა ჯგუფმა მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა <u>მეტწილ შესაბამისობაში.</u>

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (15/01/2026) კვალიფიციური კადრების მეშვეობით უზრუნველყოს საგნების: სახვითი და გამოყენებითი ხელოვნება, მე და საზოგადოება და პროექტი სამოქალაქო განათლებაში სწავლება. შესაბამისობის გეგმაში მითითებული შემჭიდროვებული ვადების გათვალისწინებით, სკოლამ დაუყოვნებლივ გამოაცხადოს შიდა ვაკანსია ან ღია კონკურსი შესაბამის პორტალზე (teachers.job.ge).

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

ვიზიტის მიმდინარეობისას დაკვირვებით და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლით დასტურდება სკოლაში შექმნილი თანამშრომლობითი გარემო. სკოლის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს. სკოლაში შექმნილ კომისიებში/სამუშაო ჯგუფებში მონაწილოებენ სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წევრი, რაც პერსონალის მართვაში მათ თანამონაწილეობას უზრუნველყოფს. სკოლაში ფუნქციონირებს საგნობრივი კათედრები, ხარისხის მართვის

ჯგუფი, პედაგოგიური, სამეურვეო და მრჩეველთა საბჭოები. რომლებიც პერიოდულად იკრიბებიან, ერთმანეთს გამოცდილებას უზიარებენ, მსჯელობენ და იღებენ გადაწყვეტილებებს. წარმომადგენლობითი პრინციპითაა შექმნილი სკოლის ფილოსოფიაზე მომუშავე ჯგუფი. მასწავლებლები თანამშრომლობენ ერთმანეთთან ინტეგრირებული გაკვეთილების თუ სასკოლო პროექტების განხორციელებისას. ინდიკატორი 3.1.2.5. დაკმაყოფილებულია

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დასაქმებულის წახალისების სახეები და მათი გამოყენების წესები. პროფესიულ საქმიანობაში მოპოვებული წარმატებისათვის ან/და შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: მადლობის გამოცხადება; სიგელით დაჯილდოება; ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა. შინაგანაწესის თანახმად, დირექტორის მოადგილე/შესაბამისი საგნობრივი კათედრა/პედაგოგიური საბჭო/სამეურვეო საბჭო/მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი უფლებამოსილია წერილობით მიმართოს სკოლის დირექტორს დასაქმებულის/დასაქმებულების წახალისების თხოვნით. დასაქმებულის მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლის დირექტორის ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით შესაძლოა კალენდარულ წელიწადში ორჯერ გაიცეს სადღესასწაულო პრემია. ვიზიტის ეტაპისთვის სკოლას მისი მცირე ბიუჯეტიდან გამომდინარე არ ჰქონდა პრემია გათვალისწინებული საპროგნოზო ბიუჯეტში. სკოლის პერსონალთან გასაუბრებითა და პედაგოგიური საბჭოს სხდომის ოქმების შესწავლის საფუძველზე, დგინდება, რომ გასულ და მიმდინარე სასწავლო წელს აღიარების მექანიზმად გამოყენებული იქნა მხოლოდ მადლობის გამოცხადება. სკოლას აქვს სოციალური ქსელი, სადაც მუდმივად ხდება სიახლეების გაზიარება, სკოლის მოსწავლეთა მიღწევების შესახებ ინფორმაციის განთავსება. სკოლის პერსონალის მართვის წესში გაწერილია თანამშრომლის შეფასების კრიტერიუმები და წახალისების ფორმები.
ინდიკატორი 3.1.2.6. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *პერსონალის მართვის წესი;*
- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *შრომითი ხელშეკრულებები.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება

☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტში სკოლას გაწერილი აქვს მასწავლებელთა შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები, მათ შორის კათედრის წევრებს შორის ურთიერთდასწრება, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის მიერ კოლეგების გაკვეთილზე დასწრება და სხვ. სკოლას არ აქვს გაწერილი მასწავლებლების გარდა სხვა პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, სკოლას ექნება პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები 2026 წლის 20 იანვრამდე.

*ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით გაწერილი აქტივობა და შესაბამისი ვადა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა **მეტწილ შესაბამისობაში.***

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (20.01.2026) შეიმუშაოს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

ვიზიტის პერიოდში სკოლამ ვერ წარმოადგინა დოკუმენტაცია, რომელიც ასახავდა, თუ როგორ ხორციელდება პერსონალის განვითარების არსებული მექანიზმების პრაქტიკაში დანერგვა. ადგილზე ვიზიტისას სკოლის წარმომადგენლებმაც ვერ გაიხსენეს პროფესიული განვითარების საჭიროებებზე დაფუძნებული გეგმის შემუშავების პროცესი. პროფესიული განვითარების აქტივობების აღწერისას კათედრის ხელმძღვანელები მიუთითებდნენ მხოლოდ ურთიერთდასწრებაზე, რაც იძლევა საფუძველს დავასკვნათ, რომ სკოლის პროფესიული განვითარების სისტემა არ არის სტრუქტურულად და სისტემურად ჩამოყალიბებული. სკოლა არ ახდენს პერსონალის საჭიროებათა გამოვლენას, გეგმის შემუშავებას და ამ გეგმის შესაბამისად პერსონალის განვითარებას.

ინდიკატორი 3.2.1.2. არ არის დაკმაყოფილებული

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, სკოლა გამოავლენს პერსონალის პროფესიულ საჭიროებებს, შეიმუშავებს გეგმას პროფესიული საჭიროებების საჭიროებების საპასუხოდ და შესაბამისად, მოხდება გეგმის შესაბამისად პროფესიული განვითარება 2026 წლის 25 იანვრამდე.

ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით გაწერილი ვადა არ მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება დატოვო როგორც შეუსაბამო, ვინაიდან სკოლას მათივე გაწერილი შესაბამისობის გეგმაში მითითებული აქვს, რომ პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმებს შეიმუშავებს 20 იანვრამდე. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფის მოსაზრებით, ხუთი დღე არ არის საკმარისი პეროსონალის პროფესიული განვითარების აქტივობების განსახორციელებლად.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში სკოლის წარმომადგენლებმა მოიყვანეს მაგალითი როგორ დაეხმარნენ კოლეგას, სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების მასწავლებელს, რომელსაც საგნობრივი გამოცდის ჩაბარებისთვის გაუზიარეს რესურსები, მოიძიეს ტრენინგი. სკოლის წარმომადგენლების მიერ წარმოდგენილი მაგალითი ასახავს, რომ სკოლა უწყობს ხელს პერსონალის კარიერულ ზრდას. თანამშრომელთა მიერ მოყვანილი მაგალითი დადებითია, თუმცა პრაქტიკა ძირითადად ერთეულ შემთხვევაზეა დაფუძნებული და ნაკლებად ასახავს სისტემურ მიდგომას.

სკოლამ მიეცეს **რჩევა**: სასურველია, სკოლამ გააძლიეროს კარიერული განვითარების მხარდამჭერი პროცესები და ჩამოაყალიბოს უფრო სტრუქტურირებული, სკოლაში დადგენილი მექანიზმები (მაგ., მხარდაჭერის გეგმა, რეგულარული პროფესიული კონსულტაციები, ინდივიდუალური განვითარების გეგმები, ტრენინგების სისტემური შეთავაზება). აღნიშნული მიდგომა ხელს შეუწყობს თანამშრომლების კარიერული ზრდის მდგრად და თანმიმდევრულ უზრუნველყოფას.

ინდიკატორი 3.2.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

სკოლას დამტკიცებული აქვს პერსონალის სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის წესი, რომელიც დეტალურად განსაზღვრავს ადაპტაციის პროცესს, ეტაპებსა და შესაბამის პროცედურებს. დოკუმენტში მკაფიოდ არის მითითებული თითოეული აქტივობის პასუხისმგებელი პირები, რაც უზრუნველყოფს პროცესის ეფექტიანობას. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს ახალი თანამშრომლების სწრაფ ინტეგრაციას სკოლაში და ამცირებს ადაპტაციის პერიოდში წარმოქმნილი რისკების ალბათობას.

ინდიკატორი 3.2.1.4. დაკმაყოფილებულია

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

სკოლის შინაგანაწესის თანახმად პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივების წახალისებას, თანამშრომელთა მოტივირება გულისხმობს მატერიალურ და არამატერიალურ სტიმულირებას, რომელიც მიმართულია კვალიფიციური პერსონალის მოზიდვისა და შენარჩუნებისაკენ. თანამშრომლებთან გასაუბრების შედეგად დადგინდა, რომ მოტივაციის ამაღლების მიზნით, სკოლა უზრუნველყოფს მათ მონაწილეობას პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებსა და სხვა აქტივობებში.

ინდიკატორი 3.2.1.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *პერსონალის სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის წესი;*
- *პერსონალის მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;*
- *სკოლის შინაგანაწესი.*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირქტორის ბრძანებით დამტკიცებული ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი. სკოლის საქმიანობის მართვა ეფუძნება დაგეგმე, განახორციელე, შეაფასე და განავითარე ციკლს. აღნიშნულზეა დაფუძნებული კურიკულუმის შემუშავებისა და განვითრების მეთოდოლოგია, მოსწავლეთა ადაპტაციის მექანიზმი, მასწავლებელთა პროფესიული ზრდის ხელშეწყობის მექანიზმი, სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია. მასწავლებელთა საქმიანობის შესაფასებლად დირექტორის ბრძანებით (ბრძანება # 3/1 ა) სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარებისა და

მხარდაჭერის ჯგუფი დირექტორის, დირექტორის მოადგილისა და შვიდი მასწავლებლის შემადგენლობით. როგორც სკოლაში ვიზიტისას მასწავლებლებმა ზეპირ ინტერვიუში აღნიშნეს, აღნიშნული ჯგუფი ესწრება მასწავლებლებს გაკვეთილზე და გასცემენ რეკომენდაციებს არსებული სირთულეების დაძლევის მიზნით. განსაზღვრავენ და სთავაზობენ მასწავლებლებისთვის პროფესიული საჭიროების რელევანტური ტრენინგ კურსებს. ასევე, მინიტორინგის ვიზიტის პერიოდში ექსპერტთა ჯგუფი ადგილზე გაეცნო გასული სასწავლო წლის ანგარიშებს, წარმოდგენილს, სკოლაში მიმდინარე დამხმარე პროცესების ხარისხის უზრუნველყოფის შესაბამისად. ხოლო, ძირითად პროცესებთან მიმართებით წარმოდგენილი იქნა სკოლის დირექტორის და კათედრების ხელმძღვანელების ანგარიშები და შესაბამისი სხდომების ოქმები.

ინდიკატორი 3.3.1.1 დაკმაყოფილებულია

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები აღწერილია სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტში. აღნიშნული დოკუმენტის შესაბამისად სკოლის მმართველობითი პროცესებია: ა) სტრატეგიული დაგეგმვა; ბ) წლიური დაგეგმვა; გ) ხარისხის უზრუნველყოფა;

სკოლის ძირითადი პროცესებია: ა) კურიკულუმის განვითარება; ბ) სასწავლო პროცესის ორგანიზება და მართვა;

სკოლის დამხმარე პროცესებია: ა) განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის წარმოება; ბ) მოსწავლის სერვისების განხორციელება; გ) საბიბლიოთეკო სერვისების განხორციელება; დ) ფინანსური რესურსებს მართვა; ე) ადამიანური რესურსების მართვა; და სხვა.

ინდიკატორი 3.3.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის თანამშრომლებსა თუ მოსწავლეთა მშობლებს დირექტორის ინდივიდუალური სამართლებრივი აქტის გასაჩივრება შეუძლიათ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში ქალაქ ახალქალაქის რაიონულ სასამართლოში მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დისციპლინური გადაცდომების ნუსხა და შესაბამისი დისციპლინური სახდელები. დისციპლინური გადაცდომების განხილვის მიზნით სკოლაში შექმნილია დისციპლინური კომიტეტი, რომლის შემადგენლობაში შედის თანაბარი რაოდენობით მასწავლებელი, მშობელი და საშუალო საფეხურის მოსწავლე, ხოლო სამეურვეო საბჭო უფლებამოსილია, წესდებით გათვალისწინებული წესით დისციპლინური გადაწყვეტილებების შესახებ საჩივრები თავად განიხილოს ან შექმნას სააპელაციო კომიტეტი. სკოლის შინაგანაწესი ასევე ითვალისწინებს განცხადებისა და საჩივრის განხილვის წესს. სკოლასა და მშობელს შორის წარმოქმნილი დავის რეგულირება განხილულია სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულ ხელშეკრულებაში.

ინდიკატორი 3.3.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები**

სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლი კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომელიც იყოფა ორ ნაწილად: მოსწავლის და მოსწავლის მეურვის კანონიერი უფლებები და სკოლის პერსონალის კანონიერი უფლებები. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად, მოსწავლეებისათვის მათი უფლებებისა და სკოლის მიერ დადგენილი წესების გაცნობას თითოეული კლასის დამრიგებელი ახორციელებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. თითოეული მოსწავლის მეურვესთან სკოლა აფორმებს ხელშეკრულებას, სადაც დეტალურადაა გაწერილი მხარეთა უფლება-მოვალეობები. მოსწავლეებსა და მათ მეურვეებს ყოველი სასწავლო წლის დასაწყისში კლასის დამრიგებელი გააცნობს შინაგანაწესს.

სკოლაში დასაქმებული თითოეული პირის შრომითი უფლებები დაცულია საქართველოს კანონმდებლობით.

ყოველივე ზემოთაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორი 3.3.1.4 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;*
- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *კათედრების ოქმები;*
- *პედაგიური საბჭოს ოქმები;*
- *მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლი კანონიერი უფლებების დაცვის დოკუმენტი.*

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლას აქვს გვერდი სოციალური ქსელში, სადაც პერიოდულად განათავსებს სკოლაში დაგეგმილი და მიმდინარე ღონისძიებების შესახებ ინფორმაციას და იღებს უკუკავშირს. თითოეული კლასის დამრიგებელს შექმნილი აქვს ფეისბუქ ჯგუფი, რომელშიც გაწევრიანებული არიან მოსწავლეთა მშობლები/კანონიერი წარმომადგენლები. ამ ჯგუფების დახმარებით, ასევე ხდება მშობლების ინფორმირება, გამოკითხვა და სხვა საჭირო აქტივობების განხორციელება. სკოლის ადმინისტრაცია აწყობს მიზნობრივ შეხვედრებს

მშობლებთან სკოლაში მიმდინარე სიახლეების გაცნობის მიზნით. შეხვედრებზე ხდება მშობლების ინიციატივებისა და წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირება და ერთობლივად გადაჭრის გზების დასახვა. სკოლის მოსწავლეთა მშობლები მონაწილეობენ სკოლის სამეურვეო საბჭოს არჩევნებში.

სკოლის ღია სივრცეში განთავსებულია საინფორმაციო დაფა, სადაც გამოიკვრება გამოსაქვეყნებელი ინფორმაცია; საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხების შედეგად მიღებულ უკუკავშირის შედეგები გამოიყენება საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი 3.3.2.1. დაკმაყოფილებულია

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

მშობელთა, მოსწავლეთა და მასწავლებელთა ჩართულობა სკოლის მართვის ორგანოებში უზრუნველყოფილია მათი წარმომადგენლებით სამეურვეო საბჭოში, რომელიც არის უმაღლესი არჩევითი ორგანო და რომელთანაც ხდება სკოლისათვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების წარდგენა დასამტკიცებლად და/ან შესათანხმებლად. მოსწავლეთა არჩევითი ორგანოს, სკოლის სტრუქტურული ერთეულის, მოსწავლეთა თვითმმართველობის საშუალებით უზრუნველყოფილია მოსწავლის ჩართვა სკოლის მართვაში. მასწავლებელთა გაერთიანება - პედაგოგიური საბჭო მონაწილეობს სასკოლო ცხოვრების მთელ რიგ გადაწყვეტილებების მიღებაში, კათედრები - კათედრის დონზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესში არიან ჩართული, დისციპლინური კომიტეტი კი განიხილავს დისციპლინურ გადაცდომებს. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორი 3.3.2.2 დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის სტრუქტურა;*
- *ბრძანება #8 მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულების დამტკიცების შესახებ;*
- *ბრძანება #8 მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ.*

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ - საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს მიერ გაცემული წერილობითი დასტური (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობით დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შემთხვევაში)**

სკოლის ტერიტორიაზე განთავსებულია 1 სასწავლო კორპუსი და საქვაბე. სკოლას ჰყავს 2 დარაჯი, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან გარეშე პირთა გადაადგილების კონტროლზე სკოლის ტერიტორიაზე. სკოლის მთელი პერიმეტრი დაცულია, ტერიტორია გარშემორტყულია ღობით. სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვის მიზნით დაწესებულება ხელმძღვანელობს „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით. სკოლას განსაზღვრული ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლი პირი.

პირველადი ავტორიზაციის პერიოდისთვის სკოლას არ ჰქონდა დასკვნა შენობის მდგრადობის შესახებ. მონიტორინგის ვიზიტისთვის დაწესებულებამ წარმოადგინა სასამართლოს ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა, გაცემული 2025 წლის ივნისში, სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობისა და მისი შემდგომი ექსპლუატაციის შესაძლებლობის დადგენის შესახებ. აღნიშნული დოკუმენტის საფუძველზე სკოლის შენობის ტექნიკური მდგომარეობა დამაკმაყოფილებელია და მისი ექსპლუატაცია არ არის საფრთხის შემცველი.

დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული და უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა. სკოლის დირექტორის მიერ შექმნილი საგანგებო სიტუაციების მართვის შტაბი.

სკოლას არ ჰყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

სკოლას მიეცა **რჩევა,** უზრუნველყოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტის აყვანა.

სკოლის შენობაში, ორივე სართულზე, თვალსაჩინო ადგილას გამოკრულია ევაკუაციის გეგმა. განთავსებულია ხანძარსაწინააღმდეგო ინვენტარი. პირველადი ავტორიზაციის დროს გაცემული იყო რეკომენდაცია, სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის მოპოვებასთან

დაკავშირებით. მონიტორინგის ვიზიტის ეტაპისთვის, სკოლას არ წარმოუდგენია მიმართვა, გაგზავნილი უფლებამოსილი ორგანოსთვის შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დასკვნის მოსაპოვებლად.
სკოლას აქვს ერთი ძირითადი შესასვლელი და რამდენიმე სათადარიგო გასასვლელი. სკოლას არ ჰყავს მანდატური. სკოლის შიდა და გარე პერიმეტრზე განთავსებულია ჯამში სულ 10 ვიდეო სამეთვალყურეო კამერა, რომლიდან 1 მწყობრიდან იყო გამოსული და ტერიტორია სრულად ვერ კონტროლდებოდა.
ვინაიდან, დაწესებულებას არ წარმოუდგენია მიმართვა უფლებამოსილი ორგანოსთვის შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ და 1 ვიდეო სამეთვალყურეო კამერა მწყობრიდან არის გამოსული, რის გამოც შეუძლებელია სკოლის ტერიტორიის სრული კონტროლი, შესაბამისად, სკოლა ვერ უზრუნყველყოფს სკოლის მთელ ტერიტორიაზე უსაფრთხოების დაცვას.
დაწესებულებამ, წარმოადგინა წერილი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურისადმი, სკოლის შენობის სახანძრო უსაფრთხოების პრობლემის მოგვარების მიზნით და შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, უფლებამოსილი ორგანოსთვის შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის დადგენის შესახებ პრობლემას აღმოფხვრის 2026 წლის 15 სექტემბრამდე.
წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის თანახმად, სკოლის მთელი ტერიტორიის სრული კონტროლისთვის, ვიდეო სამეთვალყურეო კამერების გამართულ მუშაობას, სკოლა უზრუნველყოფს 2026 წლის 25 იანვრამდე.
*ექსპერტთა ჯგუფმა მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა **მეტწილ შესაბამისობაში.***
სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში, სკოლის ტერიტორიაზე უსაფრთხო გარემოს შექმნის მიზნით (15/09/2026) უზრუნველყოს შენობა-ნაგებობის სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ დასკვნის მოპოვება და ვიდეო სამეთვალყურეო კამერების გამართული მუშაობა (25/01/2026).

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

მიუხედავად იმისა, რომ სკოლას აქვს სამედიცინო კაბინეტი და იგი სრულად არის აღჭურვილი საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის ერთობლივი №41/ნ/01-23/ ბრძანებით დადგენილი მოთხოვნების შესაბამისად, სკოლამ არ ჰყავს საშტატო განრიგით გათვალისწინებული კადრი - სკოლის ექიმი, და შესაბამისად ვერ უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას.
დაწესებულებამ, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, სკოლა, სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით, ექიმის აყვანას გეგმავს 2026 წლის 25 იანვრამდე.
*ექსპერტთა ჯგუფმა მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა **მეტწილ შესაბამისობაში.***
ვინაიდან, სკოლას შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული აქვს შემჭიდროვებული ვადები და არ აქვს გამოცხადებული საშტატო განრიგით გათვალისწინებული-ექიმის ვაკანსია, სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (25/01/2026) სკოლის

ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენის მიზნით, უზრუნველყოს სკოლის ექიმის ან/და სერვისების მიღების ალტერნატიული გზების შერჩევა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრისა და საქართველოს ოკუპირებული ტერიტორიებიდან დევნილთა, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2022 წლის 21 მარტის №41/ნ/01- 23/ნ ერთობლივი ბრძანებით დამტკიცებული ,,საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების/სკოლების სამედიცინო პერსონალის საქმიანობის სტანდარტისა და საქართველოს ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებებში/სკოლებში სამედიცინო მომსახურების სივრცის (კაბინეტი/პუნქტი) ფუნქციონირების წესის" შესაბამისად.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

სასწავლო დროს დაწესებულების საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფენ მასწავლებლები, კლასების დამრიგებლები და სკოლის დარაჯი. „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების თანახმად სკოლას განსაზღვრული ჰყავს უსაფრთხოებაზე პასუხისმგებლი პირი.

სკოლაში შექმნილია მრჩეველთა საბჭო, რომლის ფუნქციაა უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის მექანიზმების განხილვა/შემუშავება. მონიტორინგის ვიზიტის პერიოდში დაწესებულებამ ვერ წარმოადგინა მრჩეველთა საბჭოს მიმდინარე სასწავლო წლის მუშაობის ამსახველი მტკიცებულებები.

დაწესებულებამ, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, სკოლა, მრჩეველთა საბჭოს მუშაობის ამსახველი დოკუმენტაციის წარმოდგენას გეგმავს 2026 წლის 28 ივნისამდე.

ექსპერტთა ჯგუფმა მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა ***<u>მეტწილ შესაბამისობაში.</u>***

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (28/06/2026) უზრუნველყოს მრჩეველთა საბჭოს ფუნქციონირება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის 06/ნ ბრძანების შესაბამისად და მისი მუშაობის დოკუმენტირება.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ დამრიგებლები, სადამრიგებლო პროგრამის ფარგლებში, მუშაობენ მოსწავლეებში ემოციური და სოციალური უნარების განვითარებაზე და განიხილავენ თემებს მათი ასაკობრივი თავისებურებების გათვალისწინებით. ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული, თანამშრომლობითი და ფსიქოლოგიურად უსაფრთხო გარემო მნიშვნელოვნად შესამჩნევი იყო სკოლაში ვიზიტის პერიოდისთვისაც. სკოლაში ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს არსებობა, ასევე დასტურდება იმით, რომ მონიტორინგის პერიოდისთვის სკოლაში არ დაფიქსირებულა სკოლის შინაგანაწესით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა.

ინდიკატორი 3.4.1.4. დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

დაწესებულებამ წარმოადგინა სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი, სადაც აღწერილია შესაბამისი პროცედურები. სკოლა ახორციელებს ჰიგიენური საშუალებების შეძენას, ბიუჯეტში გათვალისწინებულია შესაბამისი თანხა. სკოლაში დასაქმებულია 2 დამლაგებელი. სკოლას მიეწოდება სუფთა წყალი. სველ წერტილებში უზრუნველყოფილია პირადი ჰიგიენის დაცვისთვის შესაფერისი პირობები. ჰიგიენური პირობების დაცვა მიმდინარეობს, როგორც სკოლის შიდა, ასევე გარე პერიმეტრზე. სკოლაში, თითოეულ სართულზე განთავსებულია 7 სველი წერტილი, მათ შორის 1 ადაპტირებული სველი წერტილი, 2 ინდივიდუალური სველი წერტილი პერსონალისთვის და 2-2 ცალ-ცალკე გოგონებისა და ვაჟებისთვის. სულ 14 სველი წერტილი. სველ წერტილებში დაცულია ჰიგიენური ნორმები.

ინდიკატორი 3.4.1.5. დაკმაყოფილებულია

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი. სკოლას განსაზღვრული ჰყავს პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცერი. აღნიშნულის შესახებ ინფორმაცია განთავსებულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ოფიციალურ ვებ გვერდზე. სკოლა იღებს თანხმობას მოსწავლეებისა და მშობლებისგან კონკრეტული პერსონალური მონაცემების, კერძოდ, ფოტო -ვიდეო გადაღებისა და მათი ინტერნეტ სივრცეში განთავსების მიზნით.

ინდიკატორი 3.4.1.6. დაკმაყოფილებულია

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლაში დაცულია ინფორმაცია სკოლის მოსწავლეების, მასწავლებლების, მშობლების შესახებ. სკოლას აქვს პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და დაწესებულება უზრუნველყოფს მის ხელთ არსებული მონაცემების დაცვას შემთხვევითი ან უკანონო განადგურების, მოპოვების, გამჟღავნების, დაკარგვის და ნებისმიერი სხვა ფორმით უკანონო გამოყენებისგან. მოსწავლეთა და თანამშრომელთა პირადი საქმეები ინახება კარადაში, რომელიც იკეტება. დაწესებულება, ასევე იცავს ელექტრონული ინფორმაციის არაავტორიზებული მომხმარებლის მიერ წვდომისა და დაზიანებისგან. სკოლა იყენებს მხოლოდ სსიპ განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის მიერ მიწოდებულ ინტერნეტს და გამოყენებული ნებისმიერი პროგრამა/ვებგვერდი არის ლიცენზირებული.

ინდიკატორი 3.4.1.7. დაკმაყოფილებულია

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი "ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის" დოკუმენტის შესაბამისად, სკოლაში მიმდინარე პროცესების, მათ შორის "უსაფრთხოების უზრუნველყოფა და წესრიგის დაცვა", შემოწმება ხორციელდება პასუხისმგებელი პირის მიერ წინასწარ შემუშავებული კითხვარის საფუძველზე. სასკოლო საზოგადოებასთან და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელ პირთან გასაუბრებით დასტურდება, რომ სკოლა უწყვეტად ახორციელებს პროცესების მონიტორინგს, თუმცა არ ხდება შედეგების დოკუმენტირება. ინტერვიუს დროს სასკოლო საზოგადოებამ (მოსწავლეები, მასწავლებლები და მშობლები) დაადასტურეს სკოლაში

არსებული უსაფრთხო გარემოს არსებობა. ასევე, ექსპერტთა ჯგუფი ადგილზე გაეცნო პასუხისმგებელი პირის მიერ სკოლის დირექტორის სახელზე წარდგენილ ანგარიშს.
სკოლას მიეცა **რჩევა**: სასურველია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების პერიოდული შეფასების შედეგების დოკუმენტირება, რათა შესაძლებელი გახდეს უსაფრთხოების პრობლემების იდენტიფიცირება, ძლიერი და სუსტი მხარეების გამოკვეთა და რეკომენდაციების შემუშავება, მათზე მყისიერი რეაგირების მიზნით.
ინდიკატორი 3.4.1.8. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *დასკვნა სკოლის შენობის უსაფრთხო ექსპლუატაციის თაობაზე 06/2025წ;*
- *უფლებამოსილ ორგანოსთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა;*
- *სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება-საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურის სამოქალაქო უსაფრთხოების დეპარტამენტის უფროსის წერილი #12302401527; 17.08.2023წ;*
- *გრძანება უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;*
- *სადამრიგებლო პროგრამა;*
- *სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის წესი;*
- *სკოლის ბიუჯეტი;*
- *პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი;*
- *ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკა.*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სსიპ ახალქალაქის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნჩხის საჯარო სკოლა სასწავლო პროცესს ახორციელებს ერთ მისამართზე, ერთ შენობაში. სასწავლო შენობა მდებარეობს სოფელ ჩუნჩხაში 7563 კვ. მ. არასასოფლო სამეურნეო მიწის ნაკვეთზე. აღნიშნული შენობა ორთულიანია. საჯარო რეესტრის ამონაწერის მიხედვით სკოლის ტერიტორიაზე ასევე მდებარეობს საქვაბე. ორივე შენობა სახელმწიფოს საკუთრებაა და სკოლას გადაცემული აქვს მოსარგებლის არსებობის ვადით. ობიექტის საკადასტრო კოდია № 63.12.32.297

სკოლა მუშაობს ერთ ცვლაში. საკლასო ოთახები უზრუნველყოფილია ბუნებრივი განათებით. თითოეულ კლასში განთავსებულია ერთადგილიანი მერხები და სკამები, მასწავლებლის მაგიდა და სკამი, დაფა და საჭირო სასწავლო ინვენტარი. სკოლის ეზოში არის კეთილმოწყობილი სპორტული მოედანი. შენობაში ფუნქციონირებს ოთახი, სადაც განთავსებულია ჩოგბურთის მაგიდა. სპორტული ინვენტარი ინახება ცალკე ოთახში. სკოლში ასევე მოწყობილია ბიბლიოთეკა (საცავი და სამკითხველო დარბაზი), კომპიუტერული ლაბორატორია, ექიმის კაბინეტი (დაცული ინვენტარი), სამასწავლებლო, ადმინისტრაციისა და ტექნიკური პერსონალის ოთახები, ოთახი, სადაც განთვსებულია კომპიუტერი ვიდეო კონტროლისთვის. სკოლის შენობაში არის თავისუფალი ფართი რესურსოთახისთვის. სკოლის შენობაში მოწყობილია ოთახი საბუნებისმეტყველო ლაბორატორიისთვის, რომელსაც მიეწოდება წყალი და უზრუნველყოფილია ამწოვით.

ინდიკატორი 3.5.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის ინფრასტრუქტურა, მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია როგორც სკოლაში დასაქმებულ პირთათვის, ასევე სკოლის მოსწავლეებისთვის. სკოლას შემუშვებული აქვს ციფრული განვითარების გეგმა. კომპიუტერული ლაბორატორიაში გამოკრულია ლაბორატორიებით სარგებლობის წესი. ბიბლიოთეკაში გამოკრულია ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი. სხვა საერთო სივრცეები: სამასწავლებლო, სკოლის დერეფნები, ეზო, სპორტული მოედანი, ოთახი ჩოგბურთისთვის კეთილმოწობილია და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის.

ინდიკატორი 3.5.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით**

ბიბლიოთეკა განთავსებულია შენობის პირველ სართულზე. ბიბლიოთეკაში მოწყობილია საცავი და სამკითხველო ოთახები. სკოლის განახლებული (ხანძრის შემდგომი) წიგნადი ფონდი შეადგენს 3089 ერთეულს; მათ შორისაა მხატვრული ლიტერატურა - 307 ერთეული. წიგნები დამუშავებულია საბიბლიოთეკო წესით და აღირცხულია როგორც ელექტრონულად, ისე საინვენტარო წიგნში. ბიბლიოთეკით სარგებლობის წესები გამოკრულია თვალსაჩინო ადგილზე. ბიბლიოთეკართან გაფორმებულია შრომითი ხელშეკრულება.
ინდიკატორი 3.5.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს**

სკოლაში შექმნილია ინკლუზიური განათლების განხორციელების პირობები. კერძოდ, სასკოლო გარემო ადაპტირებულია ყველა უნარისა და შესაძლებლობის მოსწავლისათვის. სკოლაში არის პანდუსი და ლიფტი, რომლის საშუალებითაც ხელმისაწვდომია ყველა სივრცე. ყველა სართულზე განთავსებულია ვიზუალური მანიშნებლები. ორივე სართულზე მოწყობილია ადაპტირებული სველი წერტილი. სკოლაში არის სივრცე რესურს ოთახისთვის.
ინდიკატორი 3.5.1.4. დაკმაყოფილებულია

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა კეთილმოწყობილია და აძლევს მოსწავლეებს შესაძლებლობას, სკოლის ბაზაზევე განახორციელონ სოციალური, კულტურული, სპორტული თუ შემეცნებითი აქტივობები. სკოლას არ აქვს სააქტო დარბაზი, მაგრამ აქვს ვრცელი ფოიე პირველ სართულზე, სადაც მოსწავლეები მართავენ კულტურულ ღონისძიებებს.
ინდიკატორი 3.5.1.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *ამონაწერი საჯარო რეესტიდან;*
- *ბიბლიოთეკით სარგებლობის წესი;*
- *კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი.*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**

დაწესებულების საკუთრებაშია 14 პორტატული კომპიუტერი, 1 პერსონალური კომპიუტერი, 1 პროექტორი და 1 პრინტერი. ტექნიკა გამართულ მდგომარეობაშია. სკოლის კომპიუტერული ლაბორატორია იძლევა შესაძლებლობას, მოსწავლეებმა სასწავლო პროცესისთვის კომპიუტერული ტექნიკა გამოიყენონ, მათ შორის, საშინაო დავალებების მოსამზადებლად. ხოლო მასწავლებლებისთვის არის შესაძებლობა, ონლაინ ჟურნალში მუშაობისა თუ სხვა სასწავლო აქტივობების განსახორციელებლად. სკოლის კომპიუტერული ინფრასტრუქტურის დათვალიერებით ჩანს, რომ ამ ეტაპზე სკოლას აქვს საკმარისი კომპიუტერების რაოდენობა ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვანი წარმართვისთვის.

ინდიკატორი 3.6.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

სკოლის კომპიუტერული ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლეთათვის, ისე სკოლაში დასაქმებული პირებისათვის. სასკოლო საზოგადოების საზიარო სამუშაო სივრცეს წარმოადგენს კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც ხელმისაწვდომია ყველა მოსწავლისა და მასწავლებლისთვის. კომპიუტერულ ოთახში გამოკრულია კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი, რომელიც განსაზღვრავს მომხმარებლის უფლებებსა და ვალდებულებებს. მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისთვის განკუთვნილ ტექნიკაზე პასუხისმგებელი პირია - საგან ტექნოლოგიების მასწავლებელი.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი;*
- *ინვენტარიზაციის აქტი.*

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შემუშავებული და დამტკიცებული აქვს საქმისწარმოების წესი, რომელიც განსაზღვრავს სკოლაში საქმისწარმოების ორგანიზების სისტემას. აღნიშნული დოკუმენტის თანახმად დოკუმენტბრუნვა ითვალისწინებს მხოლოდ შემოსულ და შიდა დოკუმენტაციას. არ ითვალისწინებს გასულ კორესპოდენციას. სკოლამ ვერ წარმოადგინა, საქმისწარმოების წესით განსაზღვრული, რეგისტრაციის ჟურნალები. საქმისწარმოების წესი არ ითვალისწინებს ელექტრონულ დოკუმენტბრუნვას, რომელიც მოცემულობაა სკოლისთვის. კერძოდ, სკოლა იყენებს დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას (e-flow, eschool, ელექტრონული ფოსტა, ვებ გვერდი).

ინდიკატორი 3.6.2.1. არ არის დაკმაყოფილებელი

დაწესებულებამ, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, სკოლა საქმისწარმოების წესის ასახვას გეგმავს რეალურ საქმიანობაში.

ექსპერტთა ჯგუფის დასკვნაში აღწერილი იყო სკოლაში არსებული საქმისწარმოების პრაქტიკისა და მათსავე დოკუმენტში გაწერილი რეგულაციის შეუსაბამობა. შესაბამისად, ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმით განსაზღვრული შესაბამისობის უზრუნველყოფის აქტივობა არ მიიჩნია რელევანტურად, ვინაიდან შესაბამისობის გეგმაში გაწერილი აქტივობა ითვალისწინებს მხოლოდ დოკუმენტში გაწერილი რეგულაციებით სკოლის საქმისწარმოების გაგრძელებას და არ ითვალისწინებს აღნიშნული დოკუმენტის/საქმისწარმოების წესის მორგებას სკოლის არსებულ პრაქტიკაზე (იხ. ინდიკატორის აღწერა). ექსპერტთა ჯგუფმა მოცემული ინდიკატორის შეფასება დატოვა, როგორც შეუსაბამო.

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა, დოკუმენტბრუნვის ელექტრონულ სისტემას (e-flow, eschool, ელექტრონული ფოსტა, ვებ გვერდი) იყენებს გარე კომუნიკაციის მიზნებისათვის. მშობლებთან კომუნიკაციისთვის სკოლა იყენებს ელექტრონულ ჟურნალს. სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის გამოყენებული აქვს ელექტრონული ფოსტა, გვერდი სოციალურ ქსელში და სხვადასხვა დახურული ჯგუფები.

ინდიკატორი 3.6.2.2. დაკმაყოფილებელია

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლა სარგებლობს ზოგადი განათლების მართვის ერთიანი სისტემით (eschool), რომელშიც აქვს სრულყოფილი პროფილი როგორც მოსწავლეების, ისე მასწავლებლებისთვის. სკოლა დადგენილ დროში და კანონმდებლობის შესაბამისად ასახავს ინფორმაციას.

ინდიკატორი 3.6.2.3. დაკმაყოფილებელია

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებთან დროულ კომუნიკაციას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებით დასტურდება, რომსკოლა საგანმანათლებლო რესურსცენტრის შუამდგომლობის საფუძველზე

მიმართავს ზემდგომ ორგანოებს, კანონმდებლობის შესაბამისად თანამშრომლობს მარეგულირებელ უწყებებთან, დროულად აწვდის მათ ანგარიშებს, უკუკავშირსა და საჭირო ინფორმაციას.
ინდიკატორი 3.6.2.4. დაკმაყოფილებელია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *საქმისწარმოების წესი;*
- *სკოლის პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში.*

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

სკოლას აქვს ვებ გვერდი სკოლების მართვის საინფორმაციო სისტემაში (skolebi.emis.ge) და გვერდი სოციალურ ქსელში, რომლებიც ასრულებს საკომუნიკაციო და საინფორმაციო ფუნქციას. სკოლის ვებ გვერდზე განთავსებულია სკოლის განახლებული საკონტაქტო ინფორმაცია: ელ.ფოსტა და ტელეფონის ნომერი. ასევე, ინფორმაცია სკოლის მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობის შესახებ, ხელმისაწვდომი პროგრამების შესახებ და სხვა. საინფორმაციო ფუნქციის შესრულების მიზნით სკოლის სოციალური ქსელის გვერდზე განთავსებულია მუდმივად განახლებადი ინფორმაცია დაწესებულების მიერ განხორციელებული აქტივობების შესახებ. აღნიშნული გვერდის საშუალებით, ასევე შესაძლებელია სკოლასთან კომუნიკაცია.
ინდიკატორი 3.6.3.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

დაწესებულებამ წარმოადგინა ბრძანება ვებ გვერდით ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ. აღნიშნული ფუნქცია პირს მინიჭებული აქვს პერსონალის მართვის სისტემაშიც (eSchool.ge). სკოლის ვებ გვერდის, სოციალური ქსელისა და საინფორმაციო დაფის დათვალიერების შედეგად შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია არის სანდო და უტყუარი.
ინდიკატორი 3.6.3.2. დაკმაყოფილებულია

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის გასაუმჯობესებლად. სკოლაში გამოყოფილია მშობელთა ვიზიტის დღე - ყოველი კვირის პარასკევი. მშობლებთან და მოსწავლეებთან გასაუბრებით დადგინდა, რომ მშობლებს შეუძლიათ სკოლაში მოსვლა, მასწავლებელთან შეხვედრა და გასაუბრება. ხოლო, უკუკავშირის შედეგად მიღებული ინფორმაცია ყოველთვის გამოიყენება საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად.

ინდიკატორი 3.6.3.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე. სკოლა სწავლებას ახორციელებს მხოლოდ ქართულ ენაზე.

ინდიკატორი 3.6.3.4. დაკმაყოფილებულია

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია**

სკოლას აქვს ვებ გვერდი, რომელიც განთავსებულია სკოლების პორტალზე www.skolebi.emis.ge . პორტალზე განთავსებულია შემდეგი ინფორმაცია: სკოლის მისია, ხედვა, მიზნები, ღირებულებები, სკოლის სტრუქტურა, სტრატეგიული გეგმა და ინფორმაცია სკოლის ინფრასტქუტურული და ფინანსური მდგომარეობის შესახებ, საკონტაქტო ინფორმაცია, მოსწავლეთა და მასწავლებელთა რაოდენობა და მითითებულია საგანმანათლებლო სტატუსი.

სკოლის ვებ გვერდზე არ არის განთავსებული 2024- 2025 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში; პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი); სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები და გასაჩივრების მექანიზმები.

დაწესებულებამ, წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, სკოლა, სკოლის ვებ-გვერდზე შესაბამისი დოკუმენტაციის განთავსებას გეგმავს 2026 წლის 28 ივნისამდე.

*ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა **მეტწილ შესაბამისობაში.***

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (28/06/2026) უზრუნველყოს სკოლის 2024-2025 და 2025-2026 სასწავლო წლების სამოქმედო გეგმების ანგარიშების ატვირთვა, პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურების და მისანიჭებელი კვალიფიკაციის

-განათლების დამადასტურებელი დოკუმენტის, სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნების მითითება და მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისებისა და გასაჩივრების მექანიზმების ატვირთვა სკოლის ვებ გვერდზე.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის ვებ გვერდი* ***https://bit.ly/3Xu7T3Y***

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

ვიზიტის მიმდინარეობისას ექსპერტები გაეცნენ სკოლის მიმდინარე წლის ბიუჯეტს, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. სკოლის სკოლის დაფინანსების ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. თანხის განკარგვა მიზნობრივია, გათვალისწინებულია სკოლის ინფრასტრუქტურის განვითარება, სკოლის პერსონალის ანაზღაურება, კომუნალური, სამეურნეო ხარჯები და სკოლის განვითარებისაკენ მიმართულ სხვა აქტივობები. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება.
ინდიკატორი 3.7.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

დაწესებულებას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს შესყიდვებზე პასუხისმგებელი პირი - სკოლის ბუღალტერი. შესყიდვები ხორციელდება სკოლის მიერ დამტკიცებული სახელმწიფო შესყიდვების წლიური გეგმის შესაბამისად. სკოლას მიერ წარმოდგენილი ბიუჯეტის

მიხედვით, ფინანსური რესურსები მიზნობრივად და ეფექტიანად ნაწილდება როგორც სახელფასო ფონდის დაფინანსებისთვის, ისე სხვა საჭიროებების უზრუნველსაყოფად. სკოლა სახელმწიფო შესყიდვების წლიურ გეგმას ტვვირთავს **Eplan** მოდულში. საჭიროების შემთხვევაში, შესყიდვების წლიური გეგმა კორექტირდება არსებული მოთხოვნებისა და კანონმდებლობით დადგენილი წესების შესაბამისად. სკოლის ბიუჯეტი ყოველწლიურად განიხილება და მტკიცდება სამეურვეო საბჭოს სხდომაზე. ფინანსური წლის დასრულებისას მზადდება დეტალური ანგარიში, რომელსაც სკოლის დირექტორი წარუდგენს სამეურვეო საბჭოს. აქედან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ სკოლას ჩამოყალიბებული აქვს ფინანსური რესურსების მართვის, დაგეგმვის, განკარგვისა და მონიტორინგის სისტემა.
ინდიკატორი 3.7.1.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *გაზრის კვლევის დამადასტურებელი დოკუმენტაცია;*
- *შესყიდვების გეგმა;*
- *სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმი;*
- *სკოლის 2025 წლის ბიუჯეტი;*
- *სკოლის დირექტორის ანგარიში.*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა
4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა
4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველსაყოფად სკოლამ წარმოადგინა მოსწავლეთა უფლებების დაცვის დოკუმენტი, რომელშიც მკაფიოდაა განსაზღვრული მოსწავლეთა უფლება-მოვალეობები და ის საკითხები, რომლებიც მოსწავლეთა უფლებების დაცვას ეხება. მაგალითად, დოკუმენტში გაწერილია ისეთი მოვალეობები როგორიცაა, უსაფრთხოების უზრუნველყოფა, დისკრიმინაციისგან დაცვა, განათლების მიღება, სკოლის მართვაში მონაწილეობა, გასაჩივრების უფლება და სხვ.

ინდიკატორი 4.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციებს მოსწავლეებსა და მშობლებს აცნობენ კლასის დამრიგებლები. სკოლის დირექციამ, კლასის დამრიგებლებმა, მოსწავლეებმა და მშობლებმა აღნიშნული დაგვიდასტურეს სკოლაში ვიზიტის დროს, გასაუბრებისას. ვიზიტის პერიოდში სკოლის შინაგანაწესი და მოსწავლეთა ქცევის კოდექსი განთავსებული იყო სკოლის ფოიეში, თვალსაჩინო ადგილას.

ინდიკატორი 4.1.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სკოლამ ადგილზე ვიზიტისას წარმოადგინა მოსწავლესთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები, გაფორმებული ხელშეკრულებები კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე და მკაფიოა.

ინდიკატორი 4.1.1.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მოსწავლეთა უფლებების დაცვის დოკუმენტი;*
- *მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებები;*
- *მშობელთა კრების ოქმები - ოქმი #1 (16.09.2025); ოქმი #2 (22.09.2025).*

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სკოლას დამტკიცებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. აღნიშნულ წესში გვხვდება ჩანაწერი, რომ ზოგადი განათლების დაწყებით საფეხურზე, პირველ კლასში იღებენ პირს, რომელსაც 1 ოქტომბრამდე უსრულდება ექვსი წელი. აღნიშნული წესი არ არის მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი იქნება კანონმდებლობასთან შესაბამისი 2026 წლის 30 ივნისამდე.

*ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა **<u>მეტწილ შესაბამისობაში.</u>***

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (30.06.2026) განსაზღვროს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს. ექსპერტთა მიერ გადამოწმდა სკოლის დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები, რითაც დასტურდება, რომ მოსწავლეების ჩარიცხვა და ამორიცხვა სკოლაში ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. აღნიშნულის გათვალისწინებით, შეიძლება ითქვას, რომ სკოლას აქვს მზაობა, დაიცვას მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის არსებული, მოქმედ კანონმდებლობასთან შესაბამისი წესები.

ინდიკატორი 4.1.2.2. დაკმაყოფილებულია

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ არ არის ხელმისაწვდომი. არ არის *გამოყენებული საჯაროობის უზრუნველყოფის არც ერთი ფორმა.*

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში),

სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდ იქნება ხელმისაწვდომი 2026 წლის 30 მარტამდე.
ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა <u>მეტწილ შესაბამისობაში.</u>
სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (30.03.2026) საჯაროდ ხელმისაწვდომი გახადოს სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია.

4.სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული

ადგილზე ვიზიტისას სკოლის წარმომადგენლებთან, მოსწავლეებსა და მშობლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ ისინი სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაციას აცნობენ მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სასწავლო წლის დაწყების წინ, დამრიგებლების მეშვეობით.
ინდიკატორი 4.1.2.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის შინაგანაწესი;*
- *მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმების დოკუმენტი.*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას აქვს წესი მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი. წესში გაწერილია მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები, პირველკლასელთა ადაპტაციისთვის საჭირო წესები. დოკუმენტში ცალკეა გამოყოფილი მობილობით გადმოსული მოსწავლეების ადაპტაციისთვის სკოლის მიერ განსაზღვრული აქტივობები. დოკუმენტში ასევე გაწერილია წარმატებული ადაპტაციისა და დეზადაპტაციის ნიშნები, დეზადაპტაციის პროცესისას სკოლის მიერ განსახორციელებელი ღონისძიებები, რომლებიც მიზნად ისახავს მოსწავლის მხარდაჭერასა და სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობის გაუმჯობესებას.

ინდიკატორი 4.2.1.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

დირექტორის, დამრიგებლების, მოსწავლეებისა და მშობლების ინფორმაციით, სკოლა დამრიგებლების დახმარებით უზრუნველყოფს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან. ადაპტაციის ხელშესაწყობად ატარებენ სადამრიგებლო საათებს შესაბამის თემებზე, წინასწარ შეისწავლიან მოსწავლეთა მზაობას, საჭიროებებს, ატარებენ ინდივიდუალურ შეხვედრებს და სხვ. აღნიშნული მიდგომა ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას სასკოლო პროცესში და უსაფრთხო ემოციური და სოციალური გარემოს შექმნას.

ინდიკატორი 4.2.1.2. დაკმაყოფილებულია

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

სკოლაში სულ 30 მოსწავლეა. არის მცირერიცხოვანი კლასები და სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენლის (მოსწავლეები, მშობლები, მასწავლებლები, დირექცია) მოსაზრებით, თავად გაკვეთილებზე ხდება მოსწავლეებთან ინდივიდუალური მიდგომა. შესაბამისად, იშვიათ შემთხვევაში სჭირდებათ დამატებითი მხარდაჭერა. თუმცა, საჭიროების შემთხვევაში, მასწავლებლები ყოველთვის მზად არიან, გაუწიონ როგორც ინდივიდუალური, ისე ჯგუფური კონსულტაციები. ეს პრაქტიკა ინტერვიუების პროცესში კმაყოფილებით დაადასტურეს მშობლებმა და მოსწავლეებმა.

ინდიკატორი 4.2.1.3. დაკმაყოფილებულია

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

ვიზიტისას ექსპერტებმა შეისწავლეს დოკუმენტები, რომლითაც დასტურდება, რომ სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით, მაგალითად, განცხადებაზე პასუხის დაბრუნება, მობილობის ვადების დაცვა და ა.შ.

ინდიკატორი 4.2.1.4. დაკმაყოფილებულია

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

როგორც ადგილზე ვიზიტისას სასკოლო საზოგადოების სხვადასხვა წარმომადგენელმა აღნიშნა, სკოლაში გარკვეული პერიოდულობით სხვადასხვა ღონისძიებას მართავენ. ინტერვიუების დროს მშობლებმა, მოსწავლეებმა გაიხსენეს დედის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, სპორტული ღონისძიებები, თექის მასტერკლასი, გაზაფხულის ღონისძიება, ხელნაკეთი სადღესასწაულო ნივთების გამოფენა და სხვ.
სკოლამ ამ მიმართულებით წარმოადგინა თვითმმართველობის დებულება, არჩევნების ჩატარების ამსახველი მასალები. მოსწავლეებთან გასაუბრების დროს მათ აღნიშნეს, რომ აქვთ საშუალება საკუთარი ინიციატივები გამოხატონ თვითმმართველობის მუშაობის ფარგლებშიც. მოსწავლეებთან გასაუბრებისას ასევე, დადასტურდა, რომ სკოლის დირექციამ გაითვალისწინა მათი ინიციატივა სკოლაში ცეკვის გაკვეთილებისთვის ფართის გამოყოფასთან დაკავშირებით. სკოლამ ასევე იზრუნა სათანადო კვალიფიაკციის კადრის მოძიებასა და მათთვის უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაზე.
ინდიკატორი 4.2.1.5. დაკმაყოფილებულია

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

მონიტორინგის ვიზიტის დროს, ინტერვიუსას მშობლებმა და მოსწავლეებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე, სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.
სკოლას მიეცა **რჩევა**: სასურველია, სტრუქტურირებული ფორმით, იქნება ეს კითხვარი, ინტერვიუ/ფოკუსჯგუფი თუ სხვა მსგავსი მეთოდი, მიიღოს მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირი.
ინდიკატორი 4.2.1.6. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;*
- *გრძანება #7 – 14.10.2025, სსიპ ჩუნჩხის საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულების დამტკიცების შესახებ*
- *გრძანება #8 – 21.10.2025, სსიპ ჩუნჩხის საჯარო სკოლის მოსწავლეთა თვითმმართველობის არჩევნების ჩატარების წესის დამტკიცების შესახებ.*

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

პირველადი ავტორიზაციის დროს გამოიკვეთა, რომ სკოლას არ ჰქონდა მზაობა განეხორციელება პროფესიული ორიენტაციისა და კარიერული დაგეგმვის პროგრამა. მონიტორინგის ვიზიტის დროსაც არ წარმოუდგენია სკოლას მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მექანიზმი. მოსწავლეებმა გასაუბრებისას ვერ გაიხსენეს სადამრიგებლო საათი ან პირდაპირი კომუნიკაციის გზით მათთის მიწოდებული ინფორმაცია პროფესიული ორიენტაციის ხელმისაწვდომობის შესახებ. მსგავსი ინფორმაცია არ იძებნება სკოლის ვებ გვერდსა და სოციალური ქსელში. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება არ არის ხელმისაწვდომი მოსწავლეთათვის.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, სკოლა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მოსწავლეთათვის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს 2026 წლის 30 ივნისამდე. ექსპერტთა ჯგუფს მიაჩნია, რომ თუ გავითვალიწინებთ, რომ თუ შემდეგი ინდიკატორით გათვალისწინებული აქტივობები - მოსწავლეების/მათი კანონიერი წარმომადგენლებისთვის განახლებული და სანდო ინფორმაციის მიწოდება ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, უზრუნველყოფილი იქნება 2026 წლის 20 აპრილამდე, ამავე ვადაშია შესაძლებელი მოცემული ინდიკატორის უზრუნველყოფაც.

ექსპერტთა ჯგუფმა მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა <u>მეტწილ შესაბამისობაში.</u>

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, უზრუნველყოს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურების მიწოდება მოსწავლეთათვის არაუგვიანეს შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში, 2026 წლის 30 ივნისამდე.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა მხოლოდ ზეპირსიტყვიერად უზრუნველყოფს მოსწავლეებისათვის ინფორმაციის მიწოდებას, რა პროფესიას შეიძლება დაეუფლოს იგი საბაზო და საშუალო საფეხურის დასრულების შემდგომ. სკოლას არ აქვს მემორანდუმი გაფორმებული მუნიციპალიტეტში არსებულ პროფესიულ კოლეჯთან. სკოლას არ აქვს შემუშავებული პროფესიული ორიენტაციის პროგრამა. შესაბამისად, სკოლას არ აქვს მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მექანიზმი და მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს არ აწვდის განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, სკოლა მიაწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით 2026 წლის 20 აპრილამდე.

*ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა <u>**მეტწილ შესაბამისობაში.**</u>*

სკოლას მიეცა რეკომენდაცია, შესაბამისობის გეგმით დადგენილ ვადაში (20.04.2026) მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს მიაწოდოს განახლებული და სანდო ინფორმაცია ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

ვინაიდან, სკოლას არ აქვს მოსწავლეთა კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მექანიზმი და მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს არ აწვდის განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით, იგი ვერ შეაფასებს მის მიერ განხორციელებული აქტივობები იყო თუ არა შედეგიანი და შესაბამისად ვერ გააუმჯობესებს მას.

დაწესებულებამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმად, სკოლა პროფესიული ორიენტაციის მიმართულებით მომსახურების დაგეგმვას, შეფასებას და გაუმჯობესებას გეგმავს, 2026 წლის 15 ივნისამდე.

*ექსპერტთა ჯგუფმა წარმოდგენილი შესაბამისობის გეგმა მიიჩნია რელევანტურად და მოცემული ინდიკატორის შეფასება შეუსაბამოდან გადაიტანა **მეტწილ შესაბამისობაში.***

სკოლას ეძლევა რეკომენდაცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადაში (15.06.2026), მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში გაითვალისწინოს მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლების უკუკავშირის და გაწეული გაწეული მომსახურების შეფასების შედეგები, რათა უზრუნველყოს კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებული ინფორმაციის განახლება და სანდოობა.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა.*

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სკოლას ამ ეტაპზე არ ჰყავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მოსწავლე. სკოლას, ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად, 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმაში განსაზღვრული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმები, რომელიც შესაბამისობაშია ინკლუზიური განათლების დანერგვის, განვითარებისა და მონიტორინგის წესების, აგრეთვე სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა იდენტიფიკაციის მექანიზმის დამტკიცების თაობაზე საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის N16/ნ ბრძანებასთან. დოკუმენტში გაწერილია ისეთი ინფორმაცია როგორიცაა, რას აკეთებს სკოლაში სკოლაში სსსმ მოსწავლის ჩარიცხვის შემთხვევაში, რა ვადებში დგება ინდივიდუალური სასწავლო გეგმალ რა კომპონენტებს მოიცავს აღნიშნული გეგმა და სხვ.

ინდიკატორი 4.2.3.1. დაკმაყოფილებულია

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სკოლას არ ჰყავს სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლე, თუმცა აქვს შემუშავებული მექანიზმი, ადაპტირებული სასწავლო გარემო პანდუსით და ლიფტით, სივრცე რესურს ოთახისთვის. შესაბამისად, სკოლას აქვს მზაობა ასეთი სახის საგანმანათლებლო მომსახურების გაწევისთვის.

ინდიკატორი 4.2.3.2. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სასკოლო სასწავლო გეგმა;*
- *სსსმ პირთათვის სერვისების მიწოდების რეგულაცია.*

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სკოლა დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების სახით მოსწავლეებს სთავაზობს სატრანსპორტო მომსახურებას. ტრანსპორტირების სერვისი, ხორციელდება ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოსთან შეთანხმებით.
ინდიკატორი 4.2.4.1. დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სატრანსპორტო მომსახურებით სარგებლობენ ის მოსწავლეები, რომლებიც სკოლიდან მოშორებით ცხოვრობენ. აღნიშნული მომსახურება ნებაყოფლობითია მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლებისთვის. ამ ეტაპზე ტრანსპორტით სარგებლობს მხოლოდ ერთი მოსწავლე.
ინდიკატორი 4.2.4.2. დაკმაყოფილებულია

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

დირექტორის ბრძანებით (ბრძანება #14/6) განსაზღვრულია მოსწავლეების ტრანსპორტით მომსახურების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირი-დირექტორის მოადგილე, რომელიც აკეთებს სამუშაოზე გამოცხადების აღრიცხვის ჟურნალის (ტაბელის) მონიტორინგს. დარღვევის შემთხვევაში, აღნიშნული პირი ინფორმაციას აწვდის სკოლის დირექტორს.
ინდიკატორი 4.2.4.3. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *სკოლის დირექტორის ბრძანება #14/6 სკოლაში მოსწავლეების სტრანსპორტით მომსახურების მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრის შესახებ;*
- *აღრიცხვის ჟურნალი (ტაბელი).*

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

თარიღი: 26/12/2025

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის ხელმოწერა: